


3.207
4.500
3.221




საკადასტრო წითელი ხაზი
4.048
6.000
3.228
პანდუსის ნაწილი საკადასტრო წითელ ხაზს მიღმა 14მ^2

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
08.06.2016	06.06.2016

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	თამაზ აბაშიძე 01013013021
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1407710
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1407710

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. 86-ის მიმდებარედ, გზის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემის შესაბამისად, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან შეთანხმებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის შემთხვევაში.
2. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-73 დადგენილება

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
08.06.2016	06.06.2016

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	თამაზ აბაშიძე 01013013021
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1407708
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1407708

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. 86-ის მიმდებარედ, გზის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან და ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემის შესაბამისად, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან შეთანხმებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის შემთხვევაში.
2. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-73 დადგენილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების
საქალაქო სამსახური

KA010113595159416

№25/22776

05 / თებერვალი / 2016 წ.

შპს „ეი ჯი კომპანი"ს წარმომადგენელს
ბატონ ვლადიმერ ბაქაიას.

საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს
რაიონში, დიდი დიღომი, გ.ბრწყინვალეს ქ., N 5, ბ.
43

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა შეისწავლა თქვენს მიერ წარმოდგენილი 01.02.2016 წლის 30279/07 წერილი და დოკუმენტები, რომლითაც ითხოვთ გზის მოწყობის მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის ნებართვას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში შპს „ეი ჯი კომპანი"ს კუთვნილი ტერიტორიის (ნუცუბიძის ქ. #86 საკ/კოდ 01.14.04.010.006) მიმდებარედ გზის მოწყობაზე სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს დადებითი გადაწყვეტილების წარმოდგენის შემთხვევაში, გასცემს მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრა-გადარგვის ნებართვას „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად.

დამატებით გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მისაღებად დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო აღდგენითი ღირებულების გადასახადი.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი — ნინო სულხანიშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

№ 2018-1163153 „13“ 05 2016 წ.

შ.პ.ს. „სტილი ქონტრაქშენი“-ს დირექტორს
ბ-ნ გ. ზუმბაძეს
თქვენს 2016 წლის 10 მაისის განცხადებაზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთ. სამმართველოს უფროსის
მოადგილეს ბ–ნ ლ. ჯოხაძეს

ბატონო გიორგი,

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება, ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №86-ში არსებულ მიწისქვეშა ავტოსადგომზე მისასვლელი გზის მოწყობის მიზნით გზის სავალი ნაწილის შეზღუდვას, რაზეც ითხოვთ წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ, რა ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (2016 წლის 4 აპრილის №QN1377098) შუალედურ გადაწყვეტილებას, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს წარმოდგენილ დროებით მოძრაობის ორგანიზაციის სქემას და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ ზემოთ აღნიშნული სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- სამუშაოთა წარმოების ადგილი ღამის საათებში განათდეს და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები განთავსდეს წარმოდგენილი სქემის შესაბამისად;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- დაცული იქნას ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და ავტოსადგომიდან გამოსასვლელი გზა აღიჭურვოს საგზაო ნიშნით 2.3-„დაუთმე გზა“;
- სამუშაოების დაწყებისა და დამთავრების შესახებ ეცნობოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (ტელ: 241 85 04; 241 85 05)

ქ. თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38 Noe Ramishvili St., Tbilisi
ტელ./Tel.: (+995 32) 241 85 02
ფაქს/Fax: (+995 32) 2 41 85 02
E-mail: ushba@mia.gov.ge

მეორე ადრესატს: გთხოვთ უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

დანართი: "2" (სქემა) ფურცლად

პატივისცემით
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი ალექსანდრე ცინცაძე

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

ლ. ჯოხაძე



საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საექსპერტო ცენტრი

☎ +995(32)38-35-84; 599780129;599558367;597371441 email-u.sturua@gmail.com

ქ. თბილისი შპს „სტილი ქონსტრაქშენი" ნუცუბიძის 86-ის შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობა ვაჟა-ფშაველას გამზირის მხრიდან. საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემა. საკონტაქტო პიროვნება გიორგი ზუმბაძე ტელ. 599 694 168

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა

მ. 1:500

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/დ10796-16

"09" 08 2016წ.

დადგენილება №000559 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

09.08.2016წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2016 წლის 08 აგვისტოს №000559 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. "ე ჯი კომპანი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №405034564, დირ. ალიზადე ხაზარ ზარდუშოგლუ – C00136487, აზერბაიჯანი, მის: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გ. ბრწყინვალეს ქ.№5, ბ.№43) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №86-ში (საკ. კოდი №01.14.04.010.006) შ.პ.ს. "ე ჯი კომპანი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2431509 AR1365591 16.02.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი, გაბარიტები და ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილი. ფასადებზე ნაწილობრივ ფიქსირდება რიგელები. ნაწილობრივ შეცვლილია წყალშემკრები მილების მდებარეობა, ფორმა და რაოდენობა. შეცვლილია რელიეფის დახრა. შეცვლილია ტერიტორიაზე მოწყობილი კიბის საფეხურების რაოდენობა, ფორმა და სიგანე. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების მოპირკეთება. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტები. შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები და ყველა სართულზე დ ღერძზე ლიფტის შახტასთან ფასადის მხარეს შეცვლილია კედლის ფორმა. ტერიტორიიდან გასატანია სამშენებლო ნარჩენები. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. „ა-გ" ფასადზე: +3.60 ნიშნულზე კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია მილკვადრატის მოაჯირი. „1-3" ფასადზე: -2.80 ნიშნულზე 1 ღერძის მარცხნივ გაუქმებულია კიბე. +3.60 ნიშნულზე ჟალუზი მოწყობილია აივნის ფილის დონეზე. +21.10 ნიშნულზე აივანზე დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილები. +32.80 ნიშნულზე პარაპეტი მოწყობილია კედლის სიბრტყეზე. „დ-ზ" ფასადზე: ±0.00 და +3.60 ნიშნულებზე ე-ზ მონაკვეთში კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია მილკვადრატის მოაჯირები. დ-ე მონაკვეთში შეცვლილია კარის მასალა, ნახატი და კარი შესამინია. დ-ზ მონაკვეთში +3.60 ნიშნულზე აივნის მარცხნივ დამატებით მოწყობილია გადახურვა. დ ღერძის მარცხნივ +3.60 ნიშნულზე გაზრდილია აივნის ფილის

ქ. თბილისი 0160, შ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

სახე. „გეგმების მიხედვით" -5.60 ნიშნულზე 2-3 მონაკვეთში შემცირებულია ავტოფარეხში შესახვლელი დიობის სიმაღლე -5.60 და -2.80 ნიშნულებზე ქუ ღერძზე დიაფრაგმაში გაუქმებულია ორ ფრთიანი კარი და დიაფრაგმა შეესებულია რკინა-ბეტონით. -2.60 ნიშნულზე 1-3 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები. 2-1 მონაკვეთში მოხაწყობია 14.0%-იანი პანდუსი. 1-1 ღერძზე ბ-ა მონაკვეთში გაზრდილია ავტოფარეხში შესახვლელი დიობის სიგრძე. პანდუსთან დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი და ნაწილობრივ შეცვლილია პანდუსის სიგანე. 6-5 მონაკვეთში ვიტრაჟებს შორის დამატებით მოწყობილია კოლონა. ბ ღერძზე დ ღერძის მარცხნივ კედელს და ვიტრაჟს მონაცვლებული აქვს ადგილი ბ ღერძზე მდებარე კოლონის პირზე. ორი ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ერთი ვიტრაჟი. ა-ა ღერძზე ვიტრაჟებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი. დ-ბ მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია კედლის ფორმები. ბ ღერძის მარცხნივ მოხაწყობია ვიტრაჟი. 6-5 მონაკვეთში 5 ღერძისკენ ვიტრაჟებს მონაცვლებლი აქვს ადგილი და შეცვლილია გაბარიტები. +31.8 ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი. ე ღერძის მარჯვნივ ფრამუგის ნაცვლად მოწყობილია ცხაური და შეცვლილია გაბარიტები. ნაწილობრივ შეცვლილია შახტის ფორმები და რაოდენობა. პროექტის ხარვეზი: გეგმებზე ნაჩვენები ჯალუზები ნაწილობრივ არ არის ასახული ფასადებზე. დიაფრაგმები და ბლოკის კედლები გეგმებზე არ არის ნაჩვენები განსხვავებულ ფერში. +31.8 ნიშნულზე 1-1 ჭრილზე ლიფტის სამანქანოში არ არის დატანილი სამანქანოსთვის განკუთვნილი ბაქანი.

2016 წლის 08 აგვისტოს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000559 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №254374/07 15.07.2016წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "ეი ჯი კომპანი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №86-ში (ს.კ. კოდი №01.14.04.010.006) შ.პ.ს. "ეი ჯი კომპანი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2431509 AR1365591 16.02.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ეი ჯი კომპანი" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ეი ჯი კომპანი"-ს დაეკისროს, საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სახარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ეი ჯი კომპანი"-ს დაეკალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე — მ. ჯაყელი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის
საქალაქო სამსახური

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 000559

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 09.08.165

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შემოწმების აქტის შედგენით იწყება შემდეგი შემთხვევის გამო:

ა) მშენებლობის დემონტაჟის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ დადგენილების მიღებისას;

ბ) მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისას;

გ) დამრღვევისთვის საურავის შესახებ დადგენილების მიღებისას;

დ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარმოუდგენლობისას;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების გატარებას.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: _____

_____

_____

ობიექტის დასახელება და მისამართი: _____

_____

_____

შემოწმებით დადგინდა: _____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

_____

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

_____

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შემოწმების აქტის გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება შემოწმების აქტში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

_____

_____

_____

განთავსების თარიღი

№000559 შემოწმების აქტის დანართი (დანართი ერთი ფურცელი)

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი, გაბარიტები და ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილი. ფასადებზე ნაწილობრივ ფიქსირდება რიგელები. ნაწილობრივ შეცვლილია წყალშეკრები მილების მდებარეობა, ფორმა და რაოდენობა. შეცვლილია რელიეფის დახრა. შეცვლილია ტერიტორიაზე მოწყობილი კაბის საფეხურების რაოდენობა, ფორმა და სიგანე. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების მოპირკეთება. ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტები. შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები და ყველა სართულზე დ ღერძზე ლიფტის შახტასთან ფასადის მხარეს შეცვლილია კედლის ფორმა. ტერიტორიიდან გასატანია სამშენებლო ნარჩენები. შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

„ა-გ" ფასადზე: +3.60 ნიშნულზე კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია მილკვადრატის ჰოაჯირი.

„1-3" ფასადზე: -2.80 ნიშნულზე 1 ღერძის მარცხნივ გაუქმებულია კიბე. +3.60 ნიშნულზე ჟალუზი ჰოწყობილია აივნის ფილის დონეზე. +21.10 ნიშნულზე აივანზე დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო ილები. +32.80 ნიშნულზე პარაპეტი მოწყობილია კედლის სიბრტყეზე.

„დ-ზ" ფასადზე: ±0.00 და +3.60 ნიშნულებზე ე-ზ მონაკვეთში კაპიტალური მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია მილკვადრატის მოაჯირები. დ-ე მონაკვეთში შეცვლილია კარის მასალა, ნახატი და კარი შესამინია. დ-ზ მონაკვეთში +3.60 ნიშნულზე აივნის მარცხნივ დამატებით მოწყობილია გადახურვა. დ ღერძის მარცხნივ +3.60 ნიშნულზე გაზრდილია აივნის ფილის სისქე.

„გეგმების მიხედვით" -5.60 ნიშნულზე 2-3 მონაკვეთში შემცირებულია ავტოფარეხში შესასვლელი ღიობის სიმაღლე. -5.60 და -2.80 ნიშნულებზე ე-ე ღერძზე დიაფრაგმაში გაუქმებულია ორ ფრთიანი კარი და დიაფრაგმა შევსებულია რკინა-ბეტონით. -2.60 ნიშნულზე 1-3 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები. 2-1 მონაკვეთში მოსაწყობია 14.0 % იანი პანდუსი. 1-1 ღერძზე ბ-ა მონაკვეთში გაზრდილია ავტოფარეხში შესასვლელი ღიობის სიგრძე. პანდუსთან დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედელი და ნაწილობრივ შეცვლილია პანდუსის სიგანე. 6-5 მონაკვეთში ვიტრაჟებს შორის დამატებით მოწყობილია კოლონა. ბ ღერძზე დ ღერძის მარცხნივ კედელს და ვიტრაჟს მონაცვლებული აქვს ადგილი ბ ღერძზე მდებარე კოლონის პირზე. ორი ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია ერთი ვიტრაჟი. ა-ა ღერძზე ვიტრაჟებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვს ადგილი. დ-ბ მონაკვეთში ნაწილობრივ შეცვლილია კედლის ფორმები. ბ ღერძის მარცხნივ მოსაწყობია ვიტრაჟი. 6-5 მონაკვეთში 5 ღერძისკენ ვიტრაჟებს მონაცვლებლი აქვს ადგილი და შეცვლილია გაბარიტები. +31.8 ნიშნულზე შეცვლილია კარის ნახატი. ე ღერძის მარჯვნივ ფრამუგის ნაცვლად მოწყობილია ცხაური და შეცვლილია გაბარიტები. ნაწილობრივ შეცვლილია შახტის ფორმები და რაოდენობა.

პროექტის ხარვეზი: გეგმებზე ნაჩვენები ჟალუზები ნაწილობრივ არ არის ასახული ფასადებზე. დიაფრაგმები და ბლოკის კედლები გეგმებზე არ არის ნაჩვენები განსხვავებულ ფერში. +31.8 ნიშნულზე 1-1 ჭრილზე ლიფტის სამანქანოში არ არის დატანილი სამანქანოსთვის განკუთვნილი ბაქანი.

მთავარი სპეციალისტი /გ.ეთერია/

საგადახდო დავალება

Payment Order

\# 1471012953

თარიღი / Date 12/08/2016

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

რეფერენსი / Ref. Num. 1414632068

გადამხდელი / Sender

შპს ეი ჯი კომპანი, 405034564

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE45TB7789536050100001

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი TBCBGE22

თანხა / Amount

4,000.00 GEL

თანხა სიტყვიერად

Amount in words

ოთხი ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name შპს ეი ჯი კომპანი, 405034564

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 405034564

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ბანკის კოდი / Bank Code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური TRESGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი

Document submission/receiving date

12/08/2016

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება 000559 სამშენებლო სამართლდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა

Signature

ხელმოწერები

Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ხსენებულ ხელშეკრულებას.